საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 3018-02
09/09/2019

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოსთვის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტიდან საბჭოს წევრობის კანდიდატთა რეგისტრაციის, პროცედურის, არჩევნების ჩატარების თარიღისა და დროის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-17 მუხლის, 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის" წესდების მე-14 მუხლის, მე-18 მუხლის მეექვსე პუნქტის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 7 ნოემბრის №9 სხდომაზე დამტკიცებული „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საარჩევნო დებულების" მე-3 და მე-4 მუხლის საფუძველზე, ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის დეკანის 2019 წლის 9 სექტემბრის N15398-35 ბრძანების გათვალისწინებით

ვბრძანებ

1. გამოცხადდეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში წარმომადგენლობითი საბჭოს წევრობის კანდიდატთა არჩევნები ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტიდან აკადემიური პერსონალისათვის სამ ვაკანტურ ადგილზე;

2. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტიდან, წარმომადგენლობით საბჭოში წარმომადგენლობით საბჭოს წევრობის კანდიდატთა რეგისტრაციის ვადა განისაზღვროს 2019 წლის 10 სექტემბრიდან 16 სექტემბრის ჩათვლით, ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 10:00 საათიდან 18:00 საათამდე უნივერსიტეტის კანცელარიაში (ჩოლოყაშვილის გამზ. 3/5) ან უნივერსიტეტის ელექტრონულ მისამართზე განაცხადისა და დოკუმენტაციის გამოგზავნით info@iliauni.edu.ge .

3. უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრობის კანდიდატი აკადემიური პერსონალის კვოტიდან უნდა იყოს ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის პროფესორი, ასოცირებული პროფესორი ან ასისტენტ-პროფესორი და არ უნდა იყოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის წარმომადგენელი, აგრეთვე აკადემიური საბჭოს წევრი. ამ ბრძანების მეორე პუნქტით განსაზღვრული განაცხადი უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას და დოკუმენტს:
ა)კანდიდატის სახელი და გვარი, მის მიერ დაკავებული აკადემიური თანამდებობის მითითებით;

ბ) სკოლის სახელწოდება;

4. კანდიდატის რეგისტრაციაზე უარის თქმის შემთხვევაში კანდიდატი უფლებამოსილია ხარვეზი შეავსოს 2 დღის განმავლობაში. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის უარი რეგისტრაციაზე კანდიდატს შეუძლია გაასაჩივროს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიაში კომისიის გადაწყვეტილების მიღებიდან 1 დღის განმავლობაში. საჩივართან დაკავშირებულ გადაწყვეტილებას უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია იღებს საჩივრის მიღებიდან 2 დღის ვადაში;

5. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის **ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის** წარმომადგენლობითი საბჭოს წევრობის(აკადემიური პერსონალი) კანდიდატთა არჩევნები ჩატარდეს 2019 წლის 19 სექტემბერს, 11:00 საათიდან 17:00 საათამდე (მის:ქ.ჩოლოყაშვილის 3/5, უნივერსიტეტის E კორპუსი, ოთახი E409);

6. არჩევნებში მონაწილეობს ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის ყველა აკადემიური პერსონალი.

7. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტს დაევალოს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიას 2019 წლის 16 სექტემბრამდე მიაწოდოს აკადემიური პერსონალისა სია, პირადი ნომრის მითითებით;

8. ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის დეკანს დაევალოს ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაციის გაცნობა ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის აკადემიური პერსონალისათვის;

9. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს ამ ბრძანების უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსება;

10. უნივერსიტეტის კანცელარის დაევალოს მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები რექტორის აპარატს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტს, უნივერსიტეტის იურიდიულ სამსახურსა და უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიას.

გიგა ზედანია

რექტორი